ცხოვრება აფრიკაში

გაიხსენე, რა იცი აფრიკის კონტინენტის შესახებ.

აფრიკა ყველაზე ცხელი **კონტინენტია**. იგი ცნობილია მდიდარი ველური ბუნებით. იქ ბინადრობს უამრავი ცხოველი. მათ შორის არიან: ავაზა, ზებრა, ჟირაფი, ლომი, ჯუჯა ბეჰემოთი, სპილო, მარტორქა... ასევე – გორილა და შიმპანზე. მართალია, იქ **ჭარბობს** ვაკე ადგილები, თუმცა მის სამხრეთ ნაწილში არის თოვლით დაფარული მთებიც. აფრიკაშია მსოფლიოში ყველაზე დიდი **უდაბნო** საჰარა და ყველაზე გრძელი მდინარე ნილოსი. აფრიკაში ხარობს ზეთის პალმა, ბაობაბი და სხვ. ალბათ, გსმენია ახალი აღმოჩენის შესახებაც. პირველი ადამიანების ნასახლარი მეცნიერებმა სწორედ აფრიკაში იპოვეს.

როგორ ცხოვრობს აფრიკაში ხალხი? მათი დიდი ნაწილი ძალიან ღარიბია. ისინი სოფლებში ცხოვრობენ. სახლებს ტალახისგან აგებენ. ბევრ სოფელს დღემდე ელექტროენერგიაც არ აქვს. უამრავი ბავშვი სკოლაშიც ვერ დადის. ზოგი აფრიკელი მწყემსობით ირჩენს თავს, ზოგი – მიწას ამუშავებს. მათ მოჰყავთ ქერი, სიმინდი, ტკბილი კარტოფილი, ყავა. ამზადებენ ბამბას, კაკაოს, კაუჩუკს. ზოგ რეგიონში მოიპოვებენ ოქროს, ალმასს, სპილენძს, ნავთობს...

აფრიკა ძალიან მოსწონთ ტურისტებს. მათგან ყველაზე მეტი ტურისტი ეგვიპტეს სტუმრობს. იქ არის მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება – ხეოფსის პირამიდა. აფრიკაში ასევე საკმაოდ ბევრი პარკი და **ნაკრძალია**. მათი საშუალებით ცდილობენ აფრიკელები თავიანთი მდიდარი ველური ბუნების დაცვას.

გამორჩეულია აფრიკული მუსიკაც. აფრიკელები მუსიკას უფრო მეტად დასარტყამი ინსტრუმენტით ქმნიან. ესენია: ტამტამი, ქსილოფონი და სხვ. იყენებენ ფლეიტასაც.

აი ასეთია აფრიკული ცხოვრება.

რა გაიგე ახალი აფრიკისა და აფრიკელების შესახებ?



ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 აფრიკა ცნობილია იმით, რომ იქ:

ა) ვაკეს სჭარბობს თოვლიანი მთები.

ბ) მდიდარი ველური ბუნებაა.

გ) ამზადებენ ბამბასა და კაუჩუკს.

2 აფრიკის ბოლოდროინდელი ყველაზე დიდი აღმოჩენა არის:

ა) პირველი ადამიანის ნასახლარი.

ბ) ყველაზე გრძელი მდინარე.

გ) ყველაზე დიდი უდაბნო.

3 აფრიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი:

ა) გამოირჩევა კარგი განათლებით.

ბ) მწყემსობით ირჩენს თავს.

გ) ძალიან ღარიბად ცხოვრობს.

4 რა იზიდავთ ტურისტებს აფრიკაში განსაკუთრებით?

ა) აფრიკული დასარტყამი ინსტრუმენტები.

ბ) თოვლით დაფარული ლამაზი მთები.

გ) ცნობილი ეგვიპტური პირამიდები.

5 რის შესახებ *არ არის* საუბარი ტექსტში?

ა) აფრიკელების საქმიანობის შესახებ.

ბ) ნაკრძალებისა და პარკების შესახებ.

გ) პირამიდების რაოდენობის შესახებ.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა.

იქ **ჭარბობს** ვაკე ადგილები.

ა) მეტია. ბ) მცირეა. გ) საკმარისადაა.

2 დააკავშირე ხაზებით სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. ნაკრძალი	უწყლო და უმცენარო ადგილი.
2. უდაბნო	ზღვებით, ოკეანეებით გარშემორტყმული ხმელეთის დიდი ნაწილი.
3. კონტინენტი	სპეციალურად გამოყოფილი ადგილი ცხოველების დასაცავად.

3 დააკავშირე ხაზებით მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები).

საოცრება	ნახვა
აღმოჩენა	აშენება
აგება	საკვირველება

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

1. აფრიკელები ---------- ველურ ბუნებას იცავენ. ***(თავიანთ / თავის)***

2. სახლებს ---------- აგებენ. ***(ტალახისგან / ტალახიდან)***

2 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. აფრიკაში მოიპოვებენ *(ალმასი)* ----------.

2. აფრიკაში ნახავ ყველაზე გრძელ მდინარე *(ნილოსი)* ----------.

3 დაწერე ერთი სიტყვით.

ნიმუში: ყველაზე გრძელი – უგრძესი.

1. ყველაზე დიდი – ----------. 2. ყველაზე მდიდარი – ----------.

გრამატიკა

4 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

	[X] *მოყავთ.*	[ ] *მოჰყავთ.*
1.	[ ] მოსწონთ.	[ ] მოწონთ.
2.	[ ] უამრავი ცხოველები.	[ ] უამრავი ცხოველი.
3.	[ ] სწორედ აქ.	[ ] სწორეთ აქ.

წერა

1 დაწერე შემაჯამებელი ტექსტი „აფრიკა“. ამისათვის გამოიყენე გააზრებისთვის დასმული კითხვები და შენი პასუხები.

მაგალითად, დაიწყე ასე: *აფრიკა ცნობილია იმით, რომ იქ* ----------

---------- (წინადადება დაასრულე სწორი პასუხის მიხედვით).

---

2 წარმოიდგინე, რომ შეგიძლია გაემგზავრო აფრიკაში ტურისტად. როგორ დაგეგმავდი შენს მოგზაურობას? დაწერე, რას ნახავდი და რატომ. შენი ნამუშევარი გააფორმე ნახატით.